ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გიორგი მუსხელიშვილის წარმომადგენლობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-151 მუხლის შესაბამისად, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა.

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, გიორგი მუსხელიშვილის წარმომადგენლობის თანამშრომლები ასრულებენ კანონმდებლობით, დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს, წარმომადგენლობაში მოსულ მოქალაქეს ვუწევთ შესაბამის სამართლებრივ დახმარებას, მათთან ერთად ვსახავთ პრობლემებისა თუ საჭიროებების გზების ერთად დასახვას შემდგომი განხორციელების მიზნით, ვუწევთ შესაბამის უწყებაში შუამდგომლობას, ვარკვევთ დოკუმენტბრუნვის შუალედურ ეტაპებს, რათა ყველა ეტაპზე განვიხილოთ აღნიშნული საკითხი და შემდგომ ინსტანციაშიც ვადევნოთ თვალყური საქმის მიმდინარეობას. ვასრულებთ სხვადასხვა დავალებებს, კერძოდ, ადგილზე საქმის შესწავლისა და მოკვლევის მიზნით, გავდივართ პრობლემურ მისამართზე და ვახდენთ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმირებას.

მიმდინარე წლის იანვრის თვიდან, ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი მუსხელიშვილის წარმომადგენლობას მომართა 820 მოქალაქემ, შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, მიმდინარე წლის გაზაფხულიდან მოყოლებული პერიოდულად სექტემბრის თვის ჩათვლით, მოქალაქეებს ვუწევდით

ძირითადად სატელეფონო კონსულტაციებს დოკუმენტბრუნვის ყველა ეტაპზე, ამავე პერიოდში ვაკის მაჟორიტარი მივიდა სადაც საჭირო იყო ყველა იმ ოჯახში, მცირე დახმარება გაუწია და გადასცა სასურსათო კალათები. ასევე, საჭიროების შემთხვევებში ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების სრული დაცვით, ინტენსიურად იმართება შეხვედრები მოსახლეობასთან, ვაკის რაიონის სხვადასხვა უბნებში.

მოქალაქეთა პრობლემების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული სახის შემდეგი პრობლემები:

1) ეზოების კეთილმოწყობა;
2) ასფალტის საფარის დაგება;
3) ავარიული შენობების გამაგრება;
4) დაზიანებული მილების შეკეთება.
5) სახურავების შეკეთება- გამოცვლა
6) ამხანაგობის პროექტების ფარგლებში ბრტყელი გადახურვის სახურავების განახლება,
7) სადარბაზოების ფასადები და სადარბაზოს შეღებვა
   და სხვა.

აქტუალურია სოციალური შინაარსის ისეთი პრობლემები, როგორიცა:

1) მედიკამენტებით დახმარება;
2) ჯანდაცვის პრობლემები.
3) ერთჯერადი ფულად დახმარების გაწევა.
4) ბინის ქირით უზრუნველყოფა (ქირის თანხის გადახდა)
   და სხვა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების თხოვნით, შუამდგომლობის უმრავლესობა, რომელიც გაეწია მოქალაქეს, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ გადაწყდა დადებითად, ზემო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, 503 მოქალაქეს გაეწია

შუამდგომლობა (ზეპირიც) სხვადასხვა უწყებებთან. მათ შორის არის კოლექტიური განცხადებებიც, მაჟორიტარი დეპუტატი უშუალოდ შეხვდა და კონსულტაცია გაუწია 2000-მდე მოქალაქეს.

მოქალაქეთა თხოვნით, ვეხმარებით სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში განცხადებისა თუ სხვა სამართლებრივ საკითხების მოგვარებაში, მოქალაქის თხოვნით ვრეკავთ და ვურკვევთ სამართლებრივი საქმის დოკუმენტაციის საკითხებს, ვახდენთ გამოთვლას კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციული ვადების, პასუხის გაცემისთვის, რათა არ მოხდეს ვადების დარღვევა და შესაბამისად ხანდაზმულობის პროცესში გადასვლა საქმის.

არის შემთხვევები, როცა გამოვლინდა სამეზობლო დავები რომელიც ეხებოდა სამოქალაქო სამართალს, მათივე მომართვითა და თხოვნით, რომ დავხმარებოდით და გაგვეწია კონსულტაცია ჩვენი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ჩვენ მოვისმინეთ მხარეების პოზიცია და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვით შედგა არაერთი შეთანხმება-მორიგება.

მოქალაქეების უმრავლესობა მოგვმართავს, მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის დაკანონების თხოვნით, რაზეც წარმომადგენლობამ რეაგირების მიზნით გააკეთა შუამდგომლობა შესაბამის უწყებაში. გამგეობის მიერ ხდება მოკვლევა, იქმნება დაინტერესებულ პირთა დაზუსტებული ნუსხა, რის შემდეგაც ხდება აღნიშნული ფართების დაკანონების საკითხის გადაჭრა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ვაკის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გიორგი მუსხელიშვილმა, მიმდინარე წლის 14 სექტემბერს მოსახლეობას წარუდგინა, მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ, შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც მოქალაქეებმა მაჟორიტართან ერთად განიხილეს პრობლემები საჭიროებები და მათი გადაჭრის გზები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ოფისი მდებარეობს ფალიაშვილის N33ა. გიორგი მუსხელიშვილი მოქალაქეებს ხვდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11:00 დან 14:00 საათამდე, ხოლო ოფისი ფუნქციონირებს 09:00-დან 18:00 საათამდე.